ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

# სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი

2019-2020 სასწავლო წელი

(გაზაფხულის სემესტრი)

მიმდინარე სასწავლო წელს სტუდენტთა გამოკითხვა ჩატარდა COVID-19 ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო მედიცინის ფაკულტეტზე დისტანციური რეჟიმით სწავლების დანერგვის შესაფასებლად. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს მედიცინის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის VI კურსის სტუდენტებმა, რომლებთანაც დისტანციური სწავლების პილოტირება დაიწყო ელექტიური კურსით. გამოკითხვა იყო ანონიმური. სწავლების ყველა ასპექტის (მასალების და სილაბუსის ხელმისაწვდომობა, ინფორმაციის მიწოდების სისრულე და დროულობა, სწავლების და შეფასების მეთოდები და ა.შ) გათვალისწინებით სტუდენტებმა შეაფასეს 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში გავლილი პირველი სასწავლო კურსი (ტრავმატიზმის პრევენცია) 5 ქულიანი სკალით, სადაც 1-სრულიად არადამაკმაყოფილებელია; 2-არადამაკმაყოფილებელია; 3-დამაკმაყოფილებელია, 4 კარგია და 5 ძალიან კარგია.

გამოკითხვის შედეგებმა გამოავლინა სტუდენტთა დამოკიდებულებები სასწავლო კურსების ონ ლაინ რეჟიმში წარმართვის შესაძლებლობასთან და კმაყოფილებასთან დაკავშირებით.

გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტთა უმეტესობის მიერ სასწავლო კურსის დისტანციურ რეჟიმში ჩატარება პოზიტიურად შეფასდა.

ლიმიტაცია: გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების მცირე რაოდენობა გამოკითხვების გამოწვევად რჩება.

**მედიცინის ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის VI კურსის სტუდენტების გამოკითხვის შედეგები**




კურსი 5 ქულიან შკალაზე ყველა სტუდენტის მიერ შეფასდა 5 ქულით.

გამოკითხვაში მიღებული ყველა კომენტარი პოზიტიურ შეფასებას იძლევა კურსის წარმართვის შესახებ და სურვილი რომელიმე კომპონენტის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით არ არის გამოთქმული.

**მედიცინის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის VI კურსის სტუდენტების გამოკითხვის შედეგები**




გამოკითხულ სტუდენტთა 75.5% სასწავლო კურსი უმაღლეს 5 ქულაზე შეაფასა, 12,5% - 4 ქულაზე და 12, 5% -3 ქულაზე.

გამოკითხვაში მიღებული ყველა კომენტარი პოზიტიურ შეფასებას იძლევა კურსის წარმართვის შესახებ და სურვილი რომელიმე კომპონენტის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით არ არის გამოთქმული.